

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N42

ქ.თბილისი

24 მაისი, 2019 წელი
16⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი

ლევან არველაძე

რამინა ბერაძე

გიორგი ბირზიჩაძე

ბექა დავითულიანი

გიორგი დოხტურიშვილი

თევდორე ისაკაძე

ირაკლი ზარქუა

ანა ლაშეი

ფრიდონ ინჯია

ლილე ლიპარტელიანი

ერეკლე კუხიანიძე

გიორგი მუსხელიშვილი

ნინო ლაცაბიძე

თინათინ ნიბლოშვილი

ქეთევან მამულაშვილი

ელენე ოზაშვილი

შალვა ოგბაძე

დათო ქლენტი

ლევან ქორქოლიანი

რევაზ სოხაძე

დათო რურუა

თარაშ შურღაია

თამარ ტალიაშვილი

ავთანდილ ცინცაძე

ვახტანგ შაქარიშვილი

დავით ჭელიძე

გიორგი ჩაკვეტაძე

ალექსანდრე ხუჯაძე

ვლადიმერ ძელაძე

ილია ჯიშვარიანი

ლევან ხაბეიშვილი

ქეთევან ჯოხაძე

ლევან ჯაფარიძე

ჯაბა ჯიშვარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალავებაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა მუმლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ალექსანდრე ტოგონიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნათია ვერძაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის საგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ლევან ხაბეიშვილმა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან იმ კომპანიასთან ხელშეკრულების შეწყვეტაზე, რომელიც საკვები პროდუქტებით ამარაგებდა საბავშვო ბაღებს, განაცხადა, რომ თვეების განმავლობაში, მის მიერ ამ მიმართულებით არსებულ პრობლემაზე საუბრისას, საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენელი ამბობდა, რომ ლევან ხაბეიშვილის სიტყვები იყო „სპეკულაცია და ტყუილი“ და დაინტერესდა, ეხლა, როდესაც მერიის მხრიდან მოხდა ხელშეკრულების შეწყვეტა, რა პოზიცია აქვს საკრებულოს უმრავლესობის წევრს. ასევე, ისაუბრა მიმდინარე სხდომის დღის წარმოდგენილ რამდენიმე საკითხზე, კერძოდ: მისთვის გაუგებარია, თუ რატომ იღებს მუნიციპალიტეტი დამატებით 12 მილიონი ლარის კრედიტს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის; ასევე, კარგი იქნება განმარტებების მოსმენა, თუ რამ განაპირობა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურისთვის 9 საშტატო ერთეულის დამატება, რის შედეგადაც სახელფასო ფონდი იზრდება 200000 ლარით; მისი თქმით, კერძო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის მიმართულებით დამკვიდრდა „მანკიერი პრაქტიკა“, რაც გამოიხატება იმაში, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებთან დაკავშირებულ კერძო მესაკუთრეებს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ, გადაეცემათ გაცილებით მეტი ფართობის და მაღალი ღირებულების მუნიციპალური მიწის ნაკვეთები და ამის კიდევ ერთი მაგალითია მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილი ერთ-ერთი საკითხი. კერძო, კერძო მესაკუთრეს, საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, რომელზეც ვრცელდება სატყეო ზონა, თუმცა სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიუროს მიერ რატომდაც შეფასდა როგორც საცხოვრებელი ზონა 3, მუნიციპალიტეტი ათიათასობით მეტი ფართობის მიწის ნაკვეთს გადასცემს. მართალია, უმრავლესობის წევრები ამბობენ, რომ ისინი ადამიანებს ერთმანეთისგან არ ანსხვავებენ, თუმცა, როგორც არაერთ სხვა შემთხვევაში, ამ შემთხვევაშიც კომპანია, რომელთანაც ხორციელდება მიწის მონაცვლეობა, დაკავშირებულია „არქისთან“, წულაიასთან და კალაძესთან.

თამარ ტალიაშვილის თქმით, ლევან ხაბეიშვილი, საბავშვო ბაღებში არსებულ პრობლემაზე საუბრისას, საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენელში სწორედ მას გულისხმობდა და განაცხადა, რომ კომპანიასთან ხელშეკრულების შეწყვეტა არის პერმანენტული და სრულფასოვანი კონტროლის შედეგი. რაც შეეხება დღეს არსებულ მდგომარეობას, აღმოფხვრილია ყველა ხარვეზი და შენარჩუნებულია კვების მენიუს ის მაღალი სტანდარტი, რომელიც დამკვიდრდა საერთაშორისო ექსპერტებთან და გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ თბილისის ბიუჯეტი იზრდება 12 მილიონი ლარით, რაც მისასალმებელია, რადგან მუნიციპალიტეტს ეძლევა შესაძლებლობა, გამოაცხადოს ახალი ტენდერები, მათ შორის, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მეტროს ვაგონების რეაბილიტაციაზე და მეწყერსაშიშ ზონაში გამაგრებით სამუშაოებზე. რაც შეეხება საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას, აღნიშნა, რომ კომპანიას ხელშეკრულება შეუწყდა მაშინ, როდესაც მან ვეღარ შეძლო ხარისხიანი მომსახურების გაწევა. თუმცა, მიუხედავად ამისა, საბავშვო ბაღების საკვები პროდუქტებით მომარაგება, ბაღების სააგენტოსა და შესაბამისი ბაღების ხელმძღვანელობის მიერ, ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში. ირაკლი ზარქუამ ასევე, ისაუბრა ლევან ხაბეიშვილის მიერ ნახსენებ მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხზე და განაცხადა, რომ ეს არის ერთ-ერთი იმ შემთხვევათაგანი, როდესაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, კერძო მესაკუთრეს ჩამოართვეს მიწის ნაკვეთის ნაწილი, რომელსაც შემდეგ დაადეს საცხოვრებელი ზონა, ხოლო

კერძო საკუთრებაში დარჩენილ ნაწილს - რეკრეაციული ზონა და აქედან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა ემსახურება სამართლიანობის აღდგენას.

ირაკლი ხმალაძემ განმარტებები გააკეთა ლევან ხაბეგიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი 12 მილიონი ლარის ოდენობით სესხს იღებს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით და იმ პირობით, რომ ამ სესხს დაფარავს ცენტრალური ბიუჯეტიდან გადმორიცხული თანხა. რაც შეეხება სესხის აღებას, ამ ეტაპზე საჭიროა იმისთვის, რომ არ შეფერხდეს და დროულად განხორციელდეს მეწყერსაშიშ ზონებში პრევენციული ღონისძიებების გატარება და მეტროს ვაგონების რეაბილიტაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ მუნიციპალიტეტს სესხის ათვისება მოუწევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოები დასრულდება მანამ, სანამ ცენტრალური ბიუჯეტიდან მოხდება თანხის გამოყოფა. საბავშვო ბალების კვებით მომარაგებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ლევან ხაბეგიშვილი საუბრობდა პრობლემებზე მაშინ, როდესაც იქ მსგავსი არაფერი ყოფილა და როგორც კი შეიქმნა პრობლემა, მაშინვე მოხდა კომპანიასთან ხელშეკრულების შეწყვეტა. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში საშტატო ერთეულის ზრდაზე განმარტა, რომ ზოგადად, თანამშრომლების დამატება ხდება მაშინ, როდესაც იზრდება სერვისების მიწოდების საჭიროება. იმ პირობებში, როდესაც ახალი დამტკიცებულია დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, ურბანულ და ქალაქების გადაწყვეტილებებზე შემოსულია უფრო მეტი მოთხოვნა და იმისთვის, რომ განცხადებების განხილვა მოხდეს დროულად და მეტი ადამიანი მოემსახუროს მოქალაქეებისა თუ კომპანიების მომართვიანობას, საჭიროა კადრების დამატება. რაც შეეხება მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხს, აღნიშნა, რომ სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიუროს მიერ, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრებით შეფასდა იქიდან გამომდინარე, რომ მესაკუთრეს აღნიშნული მიწის ნაკვეთი ნაყიდი ჰქონდა სწორედ ამ პარამეტრებით და დღეს მისი შეფასება დღევანდელი პარამეტრებით არ იქნებოდა სამართლიანი.

ჯაბა ჯიშვარიანმა ისაუბრა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონში ჩატარებულ შუალედურ არჩევნებზე და განაცხადა, რომ მიუხედავად მაქსიმალური მცდელობისა, არჩევნებში მონაწილეობა მიეღო, როგორც მხოლოდ რიგით მოქალაქეს, ზოგიერთი მისი ყოფილი კოლეგა ცდილობს, მთაწმინდის რაიონის ამომრჩეველი შეიყვანოს შეცდომაში და ავრცელებს ცრუ ინფორმაციას, რომ ჯაბა ჯიშვარიანი წარმოადგენს „ნაციონალურ მოძრაობას“, რასაც „ბოდვა“ უწოდა და თხოვნით მიმართა საკრებულოს წევრებს, მომავალში თავი შეიკავონ მსგავსი აბსურდული ინფორმაციის გავრცელებისგან.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა ჯაბა ჯიშვარიანს, რომ საკრებულოს სხდომა არ არის მსგავსი შინაარსის განცხადების განხილვის ფორმატი და უმჯობესი იქნებოდა ამ საკითხზე კოლეგებთან ესაუბრა სხვა ფორმით.

ვახტანგ შაქარიშვილმა გაიხსენა გასულ კვირას ბრიფინგზე გაკეთებული განცხადება, რომელიც ეხებოდა თბილისში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროში არსებულ მონოპოლიას, წარადგინა ამის დამადასტურებელი ფაქტები და დასვა კითხვები. თუმცა, დღეს, ამ კითხვებზე პასუხის გაცემის ნაცვლად, საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილია საკითხი, რომელიც ეხება იმ კომპანიის გათავისუფლებას პირგასამტებლოს გადახდისგან, რომელიც სარგებლობს მონოპოლიით, ავიწროვებს სხვა ბიზნესს და გადასახადებს უმაღლავს ბიუჯეტს. აღსანიშნავია, რომ პირგასამტებლოს დაკისრება გამოწვეულია ნაკისრი ვალებულებების შეუსრულებლობით, რისი მიზანზიც იყო მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლების მიერ ვალდებულებების ვერ შესრულება. ვახტანგ შაქარიშვილის თქმით, ბიუჯეტმა უნდა დაკარგოს შემოსავალი იმიტომ, რომ ვერ იმუშავა მერიამ, ხოლო კომპანიამ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები და განაცხადა, რომ „მალიან ცდება ყველა, ვინც ფიქრობს, რომ

საკითხის მიჩქმალვით და იგნორირებით შეიძლება პრობლემის გადაფარვა“, რადგან კორუფცია არ არის მხოლოდ რიგითი თანამშრომლის მიერ ქრთამის აღება, კორუფციაა ასევე: მონოპოლიების ხელშეწყობა; პრეფერენციების მიცემა გარკვეულ ბიზნეს-ჯგუფებზე; როდესაც კონკრეტული პარლამენტის წევრები სარგებლობენ პრივილეგიებით, მათ შორის, ახორციელებენ უსამართლო მიწის ნაკვეთების მონაცვლეობებს და სამშენებლო ნებართვებს იდებენ რიგითი ბიზნესმენებისგან განსხვავებული კრიტერიუმებით. განაცხადა, რომ თავადაც იმ დაპირებების მონაწილეა, რომ ჩვენს ქალაქში აღარასდროს დაბრუნდებოდა კორუფცია და თბილისი იქნებოდა „სიცოცხლით სავსე ქალაქი“ და მოუწოდა საკრებულოს წევრებს, ისაუბრონ არსებულ პრობლემებზე.

ლილე ლიპარტელიანმა ისაუბრა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივაზე, რომელიც ეხებოდა მოსკოვის გამზირისთვის არჩილ ტატუნაშვილის სახელის მინიჭებას, თუმცა საკითხი განუხილველი დარჩა არგუმენტებით, რომ ინიცირებისთვის საჭირო იყო საკრებულოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნა და რომ მისი გარდაცვალებიდან გასული არ იყო 20 წელი. საკრებულოს მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია ერთ-ერთი ქუჩისთვის რომან გვენცაძის სახელის მინიჭების საკითხი, თუმცა არც მისი გარდაცვალებიდან გასული 20 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ ასეთ შემთხვევაში საკითხის ინიცირების უფლება აქვს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, საკრებულოს თავმჯდომარეს და საკრებულოს წევრთა 1/3-ს, სხდომაზე წარადგინა ინიცირება მოსკოვის გამზირისთვის არჩილ ტატუნაშვილის სახელის მინიჭების შესახებ და მიმართა საკრებულოს წევრებს, თანხმობის შემთხვევაში, მხარდაჭერა დაადასტურონ ხელმოწერით.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ საუბარი იყო კონკრეტულად მოსკოვის გამზირისთვის არჩილ ტატუნაშვილის სახელის მინიჭებაზე და საკითხის განუხილველად დატოვება არ უკავშირდებოდა იმას, რომ მისი გარდაცვალებიდან გასული არ იყო 20 წელი.

თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, რომ მოსკოვის გამზირისთვის არჩილ ტატუნაშვილის სახელის მინიჭების საკითხის განუხილველად დატოვების არგუმენტი არ ყოფილა ის, რომ მისი გარდაცვალებიდან არ იყო გასული 20 წელი, რადგან ასეთი შემთხვევები არა ერთია. ხოლო, როდესაც ამ საკითხს ვადარებთ კონკრეტული ქუჩისთვის რომან გვენცაძის სახელის მინიჭებას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოსკოვის გამზირი არ არის ქუჩა, არის გამზირი, სადაც ცხოვრობს ათი ათასზე მეტი ადამიანი.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს მოაწყოს შოუ, თითქოს ამ დარბაზში იჯდეს თუნდაც ერთი ადამიანი, ვისაც გული არ შესტკივა ნებისმიერ ქართველ გმირზე, რომელიც შეეწირა საქართველოს მთლიანობას და განაცხადა: „ჩვენ აბსოლუტურად ყველა იმ ქართველის ღვაწლს ვაფასებთ, რომელიც შეეწირა ოკუპანტებთან ბრძოლას ან ოკუპანტის ხელით იქნა მოკლული და ნაწამები“.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს მცდელობა აქვთ გადაფარონ თბილისში და ზოგადად, ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტი, თუმცა ისინი ამას ვერ მოახერხებენ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალავვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ალექსანდრე ტოგონიძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ალექსანდრე ტოგონიძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნათია ვერძაძე

5. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: მამუკა მუმლაძე

6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მამუკა მუმლაძე

7. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7

დეკემბრის N32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: მამუკა მუმლაძე

8. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (მე კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შესახებ“;

მომხსენებელი: მამუკა მუმლაძე

9. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

10. „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 მარტის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.16.05.032.024) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იანა ღუდუშაურისთვის (პ/ნ.: 01006006650) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №3-ის მიმდებარედ 65 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.07.003.041) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ევროპროდუქტისთვის“ (ს/ნ.: 202227134) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, ქ.შარტავას ქუჩა N7-ში, შენობა-ნაგებობა N1-ში, მე-14 სართულზე არსებული 392.52 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.127) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგროპაბისთვის“ (პ/ნ.: 404502098) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 43314 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.011.009) და ქ.თბილისში, სკოლის ქუჩის მიმდებარედ 715 კვ.მ.

მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.011.003) შპს „ჯი ემ ჯისთვის“ (ს/ნ.: 404398237) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქუჩა N50/18-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.17.13.041.024) და ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქუჩა N50/18-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.17.13.041.025) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Unique Stay Hotels“-ისთვის (ს/ნ.: 406092650) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „კონსალტინგ გრუპს“ (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი“, ს/კ.: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივნისის N216 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმა ტრანსპორტს“ (ს/კ.: 405142821) შორის 2016 წლის 19 აპრილს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი - N160405188) გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის/დარღვევის გამო, 2018 წლის 1 იანვრიდან - 2019 წლის 6 მაისამდე დაკისრებული პირგასამტებლოსაგან შპს „ალმას“ (ს/კ.: 204873388) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, მიროტაპის ქუჩაზე (ყოფილი ოჟიოს) არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ.: N01.10.13.033.926; N01.10.13.033.927; N01.10.13.033.159) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 19200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.06.003.049) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოფაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის მდებარე 3069 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.17.14.001.301) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 37190 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.06.003.048) და ქალაქ თბილისში, მთავარანგელოზის ქ.N30-ში მდებარე 394 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.17.01.048.021) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქ.N7-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.13.07.021.321) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 3000 კვ.მ. და 1680 კვ.მ. მიწის ნაკვეთების (ს/კ.: N01.14.06.006.091; N01.14.06.006.092) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.008.002.01.523) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

26. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N117-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.099) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

27. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ერეკლე II-ის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.052.020.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

28. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.013.006.01.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

29. „ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, მე-6 კვარტალის კორპუსი N19-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.03.032.001) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

30. „ქალაქ თბილისში, კახეთის ხევი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.069.014) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

31. „ქალაქ თბილისში, ნაკადულის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.008.020) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

32. „ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა (კორპუსი) N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.037.003) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

33. „ქალაქ თბილისში, გლდანის I მასივის ტერიტორიაზე არსებულ 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (ს/კ.: N72.13.03.111) დემონტაჟის შედეგად

მიღებული მატერიალური სახის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

34. „ქ.თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 75.16 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.387.01.01.012) ყოფილი საბინაო - სამშენებლო კოოპერატივის წევრისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

35. „ქ.თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 71.26 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.387.01.01.014) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

36. „ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.148) შპს „ალმასთვის“ (ს/ნ.: 204873388) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის N379 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

37. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

38. „ქალაქ თბილისში, სოფ. თხინვალაში, ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე ს/კ.: N72.16.15.560; N72.16.15.281; N72.16.23.879; N72.16.23.878; N72.16.15.589 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

39. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ.: N01.19.24.007.275, ნაკვ. 07/048, საერთო ფართობი: 40000 კვ.მ. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

40. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში N01.14.06.003.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე ტერიტორიაზე (საერთო ფართობი: 24205 კვ.მ.) სასწავლო-სპორტული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

41. „ქ.თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ შინდისში, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.97.839, N81.02.97.843, N81.02.98.764, N81.02.98.765, N81.02.98.763, N81.02.98.763, N81.02.98.766, N81.02.97.670, N81.02.97.669) საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის მოადგილის 2013 წლის 31 დეკემბრის N2976 განკარგულებით

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის
დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

42. „ქ.თბილისი, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის
არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის
განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებისა და
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N88 განკარგულებით დამტკიცებული
განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

43. „ქალაქ თბილისში, გორგასალის შესახვევი N5-ში, საკადასტრო კოდი: N01.18.09.001.008
(ფართობი: 17313 კვ.მ.) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, სასტუმრო,
კომერციული) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის
დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

44. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ალექსანდრე ყანჩელის ქუჩასთან მდებარე
უსახელო ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მზია ჯინჭარაძის სახელის
მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

45. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის I ქუჩის მონაკვეთისთვის 9 აპრილს
ტრაგიკულად დაღუპული თამუნა დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

46. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის I ქუჩის მონაკვეთისთვის 9 აპრილს
ტრაგიკულად დაღუპული თინა ენუქიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

47. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის II ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად
დაღუპული მანანა ლოლაძის სახელის და რეხის III ქუჩის მონაკვეთისთვის მანანა ლოლაძის I
ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

48. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის შესახვევისთვის და მასთან მდებარე
უსახელო ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ელისო ჭიპაშვილის სახელის
მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

49. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მახათას აღმართთან მდებარე უსახელო
ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამარ მამულაშვილის სახელის მინიჭების
შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

50. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლულის II დასახლების III ქუჩისთვის, IV
ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ფილოლოგის, აკადემიკოს
ელენე მეტრეველის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

51. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ცოლიკაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის, აკადემიკოს ირაკლი უორდანიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

52. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

53. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ირინა შტენბერგის ქუჩისთვის საგანეს სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

54. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი აბაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის მხატვარ ირინა შტენბერგის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

55. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოეტის იოსებ გრიშაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

56. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გვარდიის კაპიტნის ნუგზარ შანავას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

57. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის ქუჩის V შესახვევისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის გენერალ-მაიორი რომან გვენცაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

58. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის, სამი ჩიხისთვის და ერთი გასასვლელისთვის მხატვარ-მონუმენტალისტის ემირ ბურჯანაძის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ზიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საკრედიტო ხაზის გაზრდა 12000000 ლარით და ბიუჯეტის შიდა გადანაწილებები. მათი საერთო ჯამი შეადგენს 28000000 ლარს, რომელიც გადანაწილდება: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენაზე; მეტროს ვაგონების რეაბილიტაციაზე; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა-ექსპლუატაციაზე; გლდანის რაიონში, შეშელიძის ქუჩაზე მეწყერსაშიში ადგილის გამაგრებაზე; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება-გაუმჯობესებაზე; კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით.

გიორგი ჩავეტაძის თქმით, ახალგაზრდული მიმართულებით თანხის გადანაწილება მნიშვნელოვანია ისეთი პროექტების განხორციელებისთვის, როგორებიცა: კოჯორში ახალგაზრდული ცენტრის პროექტირება და სამგორში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია. მისასალმებელია ასევე, რომ ვარკეთილში დაიწყება სარაგბო კომპლექსის მშენებლობა, რომელიც მნიშვნელოვანია, როგორც ადგილობრიცი მოსახლეობისთვის, ასევე ქალაქისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ალექსანდრე ტოგონიძემ და განმარტა, რომ ცვლილებები განპირობებულია განყოფილებებს შორის ფუნქციების შეცვლით და გადანაწილებით. რაც შეეხება სტრუქტურას, რჩება ისევ სამი განყოფილება, რომელთაგან ერთი ორიენტირებული იქნება განაშენიანების რეგულირების გეგმებზე და ფუნქციური ზონის ცვლილებებზე, მეორე განყოფილება - საგამონაკლისო წესებზე და სპეციალურ ზონალურ შეთანხმებებზე, ხოლო მესამე განყოფილება დაამუშავებს სივრცითი მოწყობის და ქალაქმშენებლობით დოკუმენტებს და პასუხისმგებელი იქნება ამა თუ იმ უბნის განვითარებაზე და ურბანულ პოლიტიკაზე.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების საჭიროება გამოწვეულია იმით, რომ ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა, თავისი დატვირთვიდან გამომდინარე, უპასუხოს არსებულ გამოწვევებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს

სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ალექსანდრე ტოგონიძემ და განმარტა, რომ საშტატო ნუსხაში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა გამოწვეულია მომსახურების სფეროს გაუმჯობესებით. რაც შეეხება სახელფასო განაკვეთების ზრდას, აღსანიშნავია, რომ ურბანულ სამსახურში დასაქმებული ადამიანები აქამდე მუშაობდნენ არქიტექტურის სამსახურში, სადაც ჰქონდათ უფრო მაღალი ანაზღაურება. ამასთანავე, ჩაიშალა არაერთი კონკურსი, რადგან შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების კადრების დასაქმება მანამდე არსებულ ანაზღაურებაზე, ფაქტობრივად შეუძლებელია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნათია ვერძაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების წესში. კერძოდ, ემატება ჩვენებები, თუ რა შემთხვევებში იქნება შესაძლებელი ადრეული სტადიის ძუძუს კიბოს მქონე ქალბატონების დაფინანსება და შესაბამისად, გაცილებით მეტი ადამიანი მიიღებს დაფინანსებას.

გიორგი ბირბიჩაძემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები უფრო მეტ ქალბატონს მისცემს პროგრამაში ჩართვის საშუალებას, რაც მნიშვნელოვანი და მისასალმებელია.

მარიკა დარჩიამ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები მნიშვნელოვანი შეღავათია იმ ადამიანებისთვის, ვინც ამ მიმართულებით საჭიროებს დახმარებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

7. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის

საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის M3 კატეგორიის ავტობუსების მოძრაობის მარშრუტში. კერძოდ: N50, N55 და N71 ავტობუსები იმოძავებენ კოტე აფხაზის ქუჩაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით თბილისში ზონალურ-საათობრივი პარკირება, პირველი ივლისის ნაცვლად, ამოქმედდება პირველი აგვისტოდან, რაც გამოწვეულია იმით, რომ ამ ეტაპზე თბილისში შემოყვანილია მხოლოდ 50 ერთეული ახალი ავტობუსი, ხოლო დანარჩენი 40 ერთეული ავტობუსის შემოყვანას კომპანია აგვიანებს. ზონალურ-საათობრივი პარკირება არის სატრანსპორტო პოლიტიკის ნაწილი, რომლის მიზანია დედაქალაქში კერძო სატრანსპორტო საშუალებების მოხმარების შემცირება და ისეთი სისტემის შექმნა, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარებას ექნება მეტი სტიმული. აღსანიშნავია, რომ ევროპის ყველა განვითარებულ ქალაქში პარკირების სისტემა დაფუძნებულია საათობრივ საფასურზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ავტომობილის მფლობელი საფასურს იხდის პარკირების სივრცით სარგებლობის საათების მიხედვით. ზონალურ-საათობრივი პარკირება ამოქმედდება დღეს მოქმედი პარკირების წლიური საფასურის პარალელურად, გავრცელდება საკრებულოს მიერ დამტკიცებულ არეალებში და შემოიტანს სამი კატეგორიის საათობრივ საფასურს: 1 ლარი, 2 ლარი და 3 ლარი. მისი თქმით, პარკირების სისტემის რეფორმა არ არის ერთადერთი ინსტრუმენტი, რომელსაც ხელისუფლება იყენებს ტრანსპორტის სისტემის მოსაწესრიგებლად, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგების მიმართულებითაც. ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ პირველი აგვისტოდან ზონალურ-საათობრივი პარკირება ამოქმედდება მხოლოდ საპილოტე არეალში, კერძოდ: კოტე აფხაზის ქუჩასა და აბანოთუბნის ნაწილზე. პარკირების წესები ითვალისწინებს რამდენიმე მნიშვნელოვან გამონაკლისს: საცხოვრებელ სახლთან ავტოსადგომით სარგებლობა იქნება უფასო; ელექტრომძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისთვის ნებისმიერ ადგილას პარკირება იქნება უფასო; ტაქსებისთვის უკვე გამოყოფილია უფასო სადგომები და მათი სარგებლობა გაგრძელდება საფასურის გადახდის გარეშე; 24 საათში 4-ჯერ, 15-15 წუთის განმავლობაში, ავტოსადგომით სარგებლობა იქნება უფასო. რაც შეეხება გადახდის მეთოდს, იქნება ორი სახის: გადახდის აპარატების საშუალებით, რომელიც განთავსდება ზონალურ-საათობრივი პარკირების სივრციდან არაუმეტეს 50 მეტრიან რადიუსში და მობილური აპლიკაციის მეშვეობით, რომლითაც მოქალაქე, ონლაინ რეჟიმში, ზუსტი დროის დაფიქსირებით, შეძლებს პარკირების საფასურის გადახდას.

თევდორე ისაკაძემ აღნიშნა, რომ საკითხის განხილვა მიმდინარეობდა დარგის სპეციალისტებთან და შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად და პარკირების ტარიფი სწორედ მათ მიერ იქნა შემოთავაზებული. მისი თქმით, საპილოტე პროექტი და პრაქტიკა გვანახებს, თუ რა ცვლილებების განხორციელება იქნება საჭირო სამომავლოდ და როგორ უნდა განვავითაროთ აღნიშნული მიმართულება.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილ პროექტს მხარს დაუჭერდა იმ შემთხვევაში, მოწესრიგებული რომ იყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. მისი თქმით, პრობლემებია როგორც მეტროში, ასევე ავტობუსების მიმართულებით და მოქალაქეებისთვის გადაადგილება არ არის უსაფრთხო. იქედან გამომდინარე, რომ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი სამუშაოა განსახორციელებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გამართვისთვის, ვერ დაეთანხმება მოსაზრებას, რომ მოქალაქეებმა საკუთარი ავტომობილით სარგებლობას უნდა ამზობინონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება.

ირაკლი ხმალაძემ განაცხადა, რომ იდეალურად გამართული საზოგადოებრივი ტრანსპორტი არსად არ არსებობს, ამ მიმართულებას მუდმივად სჭირდება მოვლა-პატრონობა. რაც შეეხება მეტროში არსებულ პრობლემებს, დამატებულია რვა შემადგენლობა, რამაც გააუმჯობესა და ნაწილობრივ გადაჭრა პრობლემები. მისი თქმით, სატრანსპორტო პოლიტიკაში დღემდე არსებობდა ისეთი ინდიკაციები, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობაზე უკეთესი იქნებოდა, მოქალაქეს ჰყოლოდა საკუთარი ავტომობილი, რამაც მოვციყვანა საცობების ინტენსივობის ზრდამდე და ჰაერის დაბინძურებამდე. სწორედ აქედან გამომდინარე, ხელისუფლებამ დროულად უნდა აჩვენოს მოქალაქეებს, თუ რა არის სწორი სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგებისთვის და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

